№ 170
აგვისტოს 11, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

1902

№ 170
აგვისტოს 11, კვირა 1902 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ხუთ მანეთად** და **ათ შაურად** (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

მოსკოვი 1893 — ს.-პეტერბურგი 1870 — ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი
დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ქიჰჰდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, გამზისა და წინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მაცერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის ხაფენები

საგნები მატულისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ქირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები
ნ. ვ. აზრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—16)

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი. 1882 წ — ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—8)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების სახლში, (განოვის ქუჩა, № 6) იძლევა ქირით

სადგური,

7 ოთახიანი ყოველის თავის მოწყობილებით წელიწადში 1200 მანეთად. ეს სადგური ამ დღეებში ოტტენმა დასცალა.

(3—400—1)

ღირსის მამის ანტონ მარტყოფის მონასტრისაგან.

ამა აგვისტოს 13 რიცხვს, საღამოს და 14 ღირსი მამა ანტონის მარტყოფის მონასტერში **მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის,** საქართველოს ეგზარხოსის მიერ, გარდახდილ იქმნება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რადგან ამ დროს უნდა შესრულდეს კურთხევა მონასტრის წმ. გიორგის უძველესის ტაძრისა და ღირსის მამა ანტონის-მესვეტისა, აგრეთვე ახლად აღშენებულის საძმო ტრაპეზისა. 15 საღამოთი და 16 აგვისტოს მონასტრის ტაძრის დღესასწაულისა გამო **მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის** მიერ შესრულებულ იქმნება აგრეთვე სადღესასწაულო ღვთის მსახურებანი ტაძარში, ხოლო საღამოს 16 აგვისტოს ლიტანიით გაემართება მთაზედ, რომელიც ნაკურთხია და განწმედილი ღირსის მესვეტეს მოღვაწეობითა.

კეთილ მსახურნი პატივის მცემელნი ღირსის ანტონის დღესასწაულისა მოიწვევიან საერთო ლოცვისა და შეძლებისა გვარად დახმარებისათვის წმ. ანტონის მოღვაწეობის ძეგლის განზრახულ განახლების საქმეში—მისის სვეტისა მაღლა მთაზედ და ღირსის სახელზედ ნიშის აშენებისა იმ ადგილს, სადაც ურწმუნოთაგან დაიხოცნენ ათორმეტნი ძმანი. თვითოეული ქვა ატანილი მაღლა მლოცველთაგან, ამ სადღესასწაულო წირვა-ლოცვაში დამსწრეთაგან და ყოველი წვლილი, შემოწირული ამ წმიდა საქმისათვის აღმშენებელთაგან მიიღებიან ულრმესის მადლობით.

ღვთის მსახურებანი დაიწყება ღამისთევით, საღამოს ლოცვა 6 საათზედ, ლიტურგია (წირვა) დილის 9 საათზედ, ლიტანია დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზედ. (3—6.—1)

ტფილისში ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის მონდობილობით უმორჩილესადა ვთხოვ ქართველ საზოგადოებას სახალხო თეატრს დახმარება აღმოუჩინოს ფულით, სცენაზე მოღვაწეობით და ტანისამოსის შემოწირვით. რა დიდი მნიშვნელობაცა აქვს სახალხო თეატრს ერის თვით-ცნობიერებისათვის, ეს ყველას კარგათ მოეხსენება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, საჭიროა მხოლოდ ხელი შევუწყოთ ამ დიად საქმის კეთილად მოწყობასა და, რადგანაც ქართული სახალხო თეატრი ქონებრივად ძრიელ ხელ-მოკლეა, ნაკლებათა ჰყავ სცენაზე მოთამაშე ქალები და გარდერობიც თითქმის ცალიერი აქვს, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება და მშრომელი ხალხის თანამგრძნობნი თავისს წვლილს არ დაიშურებენ და ამ ჩვენ მოწოდებას უყურადღებოთ არ დასტოვებენ. ვინც სეთილ ინებებს სცენაზე მონაწილეობის მიღებას და ან მოისურვებს წვლილის გამოღებას,(ფულით იქნება,თუ ტანისამოსით), ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ავჭალის ქუჩა. № 72, ბინა მ. ი. დემურიასი.

სახალხო წარმოდგენები დაიწყება პირველ სექტემბრიდან და, ვისაც სახალხო სცენაზე მოღვაწეობა ჰსურს, ვთხოვთ წერილობით შეგვატყობინონ და, გამოცხადდენ სახალხო აუდიტორიაში (ავჭალის ქუჩა) აგვისტოს 20-ს, საღამოს 7 საათზე.

გვარი და სახელი სცენაზე მოღვაწეთა და ყოველივე შემოწირულება ეუწყება ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით.

სექციის მდივანი ი. ცინცაძე.

(3—მ—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სდოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. მძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. პ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 11 **აგვისტოს.**

გრიგორიანთ ეკკლესია საქართველოში, როგორც რუსობამდე, ისე მას შემდეგ, პატივისცემით ეპყრობოდა ქართველ გრიგორიანთ ენას და ზნე-ჩვეულებას. წირვა-ლოცვის გასაგებად მიჰმართავდა სახარების ქართულად კითხვას, ქართულად გალობას და ქადაგების ქართულად თქმას. გრიგორიანთ ლოცვანი, როგორც „დილის ნათელო“ და სხვა, ისე წირვის წესი, ქართულად ნათარგმნი, ამას ყოველსავე ცხადად ჰმოწმობს. ქართული ენა პატივ-დებაში იყო აგრეთვე გრიგორიანთ სამრევლო სკოლებში და სომხურს ასწავლიდნენ დედაენის საშუალებით.

ამ ასის წლის წინად, როცა საქართველო თვისს ბედს თვითონვე განაგებდა, საქართველოს გრიგორიანთ სასულიერო მთავრობა დამოკიდებული იყო ქართველთ საერო მთავრობის ნებასა და სურვილზედ და ქართული ენა ცხოვრების სახსრად ჰქონდა მიჩნეული. გრიგორიანთ სამღვდელოება ქართულს მწიგნობრობას ეტანებოდა და არა ერთი წიგნი მოგვეპოვება მისგან ქართულად შეთხზული, სომხურიდგან ნათარგმნი და გადაწერილი. სულ ძველად ხომ, როცა სომეხთ კიდევ ჰქონდათ მოქალაქობრივი დამოუკიდებლობა, წმ. მესროპიდან მოკიდებული, ვიდრე თითქმის XI საუკუნემდე, ქართველთა და სომეხთ სასულიერო კაცნი ზნეობრივ მოვალეობად სთვლიდნენ, ერთმანერთის მწერლობა სცოდნოდათ, ერთმანერთისთვის საკულტურო სამსახური გაეწიათ. ბერაი შატბერდელისა და მიქელ მოდრეკილის შესანიშნავი ეტრატის (ტყავის) ხუცური ხელ-ნაწერები, რომელიც ასო-მთავრულის სომხურით არის შიგა და შიგ აჭრელებული და რომელიც გადაწერილია თვით ბერაისა და მიქელისაგან, როგორც ჰმოწმობს ზედვე შერჩენილი სომხური წარწერები, უტყუარი საბუთია ამ ორის ხალხის ძმურად ცხოვრებისა, იმ დროისა, როცა ქართველნი და სომეხნი ერთმანერთს პატივს სცემდნენ, ერთმანერთის დამჭირნენი და იღვწოდნენ ერთმანერთის საკეთილდღეოდ.

ასეთი მიმართულება გამოჰყვათ გრიგორიანთ მღვდლებს მეცხრამეტე საუკუნეშიაც, როცა საქართველოს მართვა რუსეთის ხელში გადვიდა. მაგრამ რუსთა მთავრობას საქართველოში გაუჩნდა ახალი საზრუნავი, რომლის გაძღოლა შეიძლებოდა მხოლოდ სახელმწიფოს საერთო ინტერესებთან შეთანხმებით. ქართველი გრიგორიანობა ბედის ანაბარა დარჩა და, ჰნახეს თუ არა ტერტერებმა, რომ დამშლელი და დამაყენებელი აღარავინ იყო, ზეგარდამო ბრძანებით, ნიადაგი მოუმზადეს აღორძინებისთვის ლუკას და იოსებ (არღუთაშვილის) კათალიკოსთა მისწრაფებას,—რომ საქართველოს დაჭირვება ჰაიასტანისთვის დალხინება ყოფილიყო. ამ მისწრაფებამ, როგორც ვიცით, ფრთები შეისხა კათალიკოსის გევორქ მეოთხის დროდან იმ ზომამდე, რომ ქართულს ენას, როგორც ქართველთ გრიგორიანთ ეკკლესიაში, ისე სამრევლო სკოლებშიაც სული ამოჰხადეს, ექსორიად განდევნეს და მასწავლებლები დაითხოვეს, რადგანაც ქართულის ენით ასწავლიდნენ სკოლებში (მოიგონეთ გორელის მასწავლებლის სააკოვის საქმე).

ასეთმა განკარგულებამ დაჰგმო, როგორც ქართველ გრიგორიანთ მრევლის სიმართლე, ისე სახარება-სამოციქულოს ზნეობა, რა აღიარა პავლე მოციქულის სიტყვები უკუღმართად; სულისათვის დიდი სარგებლობაა გაუგებარის ენით ლოცვაო. დევნა და უგულებელ ყოფა ქართულის ენისა წარმატებით მიდის წინ დღეს და ამის მოთავედ შექმნილა ტფილისის ქართლ-კახეთ-იმერეთის ქართველ გრიგორიანთა სასულიერო კონსისტორია, რომელსაც ამას წინად კიდეც უკადრებია და მიუწერია ქართველ მართლმადიდებელთ სასულიერო გამგეობისათვის, დაუშალეთ დეკანოზს სოლომონ შოშიაშვილს ქადაგება, თორემ გრიგორიანები დადიან ყურის საგდებლადაო. ეს მაგალითი საკმაო საბუთია იმისი, რომ ქართველ გრიგორიანებისთვის სომხურად წირვა-ლოცვასა და ქადაგებას ნიადაგი არა აქვს და მხოლოდ ძალადმაცხონეობა გამოდის.

ქართველი გრიგორიანი დანატრულებულია დედაენაზედ წირვა-ლოცვის მოსმენას და მის სამართლიან ნატვრას-კი აწინდელი ტერტერა არად აგდებს და თავისას გაიძახის.

მისი უწმინდესობა მკრტიჩ კათალიკოს-პატრიარქი განათლებული კაცია და სომეხთა და ქართველთა შორის ძმურის ცხოვრების ჩამოგდების მოწადინე და გვიკვირს, რად არათხოვებს ყურს იმ ზნეობრივ სულიერ სატანჯველსა, რომელიც ადგიათ ქართველ გრიგორიანებს თავიანთ წირვა-ლოცვის მოსმენისაგან უცხო, გაუგებარის ენით, რომელიც ნამდვილ სომხებსაც-კი არ ესმით. არა ერთს ვხედავთ ქართველს გრიგორიანს უჩიოდეს თავის სულიერ ტყვე-ქმნილობას და საშველი-კი ვერა უპოვნია-რა, იმიტომ, რომ სხვაფრივაც ბევრგვარად დატყვევებულია და გალავან-შემოვლებული მისი სულიერი არსება.

თუ სომეხ გრიგორიანთა სამღვდელოებას და აზვასერ მოღვაწეებს ჰგონიათ, რომ ვინც გრიგორიანია, ის სომეხიც არის, სასურველია, ვიცოდეთ, რას იტყოდნენ, რომ სრულიად ქართველობას, ბედის წერის განგებით, მიეღო გრიგოლ პართელის სწავლა და ლუსავორჩაკანობა? ნუ თუ მაშინაც ქართველებს

სომხებს უწოდებდნენ? რაც მრთელისთვის არ ითქმის, არც მისის ნაწილისთვის უნდა ითქმოდეს! მაგრამ პატრონი ვინ არის?..

არა. ქართველ გრიგორიანთ სამრევლო სკოლები ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, სცდილობდეს მრევლს მომავალი მწყემსი გამოუზარდოს, ისეთი, რომ შეეძლოს ღვიძლი მრევლის ღვიძლი ქართულით მოძღვრება და ზნეობრივად განვითარება. ამიტომ ქართული ენა სავალდებულო საგნად უნდა იყოს გადაქცეული ქართველ გრიგორიანთ სამრევლო სკოლებში, ხოლო ნერსესის სემინარიაში, რომელიც ტფილისშია, ქართულს გარდა უნდა ისწავლებოდეს ქართულად ქადაგების თქმაც.

ეს არის მრავალ ქართველ გრიგორიანის სულიერი მისწრაფება, ბუნებრივი, კანონიერი სურვილი და ვიმედოვნებთ, მისი უწმინდესობა მკრტიჩ კათალიკოსი ქრისტეს ჭეშმარიტის მორწმუნისა და მსახურის თვალით შეჰხედავს ამ საქმეს და დააკანონებს ამ სამოსწავლო წლიდანვე ახალ განკარგულებას, რომლითაც ქართული ენა, როგორც ეკკლესიაში, ისე სკოლაში, ჯეროვანად პატივცემული იქნება, ხოლო ეპარქიის გამგედ თავისუფალ ადგილზე დანიშნავს ეპისკოპოსს, საქართველოს შვილს. ამას მოითხოვს ქართველ გრიგორიანთ სიმართლე, სახარების ზნეობა და, ყოვლის უწინარეს, ადამიანობა და ძმობა, რასაც ასე ვიჩემებთ და საქმით-კი ვერ გამოგვიჩენია.

ტფილისი

✦ ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი და დეისტ. ტაინი სოვეტნიკი სერგეი იულის ძე ვიტტე სთხოვს ტფილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს: წარმოვადგენ-რა ამასთანავე ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს, ჩამრიცხეთ მეც, მეუღლე ჩემი მატილდა და ქალი ვერა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შორისაო.

✦ შარშან, დეკემბრის 8-ს, თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივმა კრებამ გადასწყვიტა, სხვათა შორის, რომ სია იმ კანდიდატებისა, რომელთაც უნდა დაენიშნოთ სტიპენდია კადეტთა კორპუსებში, შეადგინოს ხოლმე არა გუბერნატორმა, არამედ თავა-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ და წარუდგინოს გუბერნატორს დასამტკიცებლად. ეს გადაწყვეტილება წარდგენილი აქვს მთავრობას გუბერნიის მარშლის მიერ და, როგორც ისმის, თხოვნა თავად-აზნაურობის შეწყნარებულ იქმნება.

✦ შეწყნარებულ იქმნება აგრეთვე ის თხოვნა, რომ მთავრობამ ცალკე აღნიშნოს, რამდენი სტიპენდია უნდა მიეცეს საკუთრად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შვილებს კორპუსებში და რამდენი—ზაქათლის ოლქის თავად-აზნაურთა შვილებს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებამ აღმოაჩინა ამ უკანასკნელ ხანებში, რომ მისნი წევრნი დიდს უწესოებას სჩადიან. საზოგადოების წესდების ძალით ყველა-წევრს შეუძლიან საზოგადოების მაღაზიებიდგან წაიღოს ნისიათ იმოდენა საქონელი, რამდენიც გადაწყვეტილია საზოგადოების გამგეობისაგან. სამწუხაროდ, ამ გარდაწყვეტილს თანხას თურმე წევრნი არა სჯერდებიან და ამის გამო ყალბს წიგნებს ჰბეჭდავენ და ამ წიგნებით, რომელშიაც წევრის ნამდვილი კრედიტი არა სჩანს, გამოაქვთ მაღაზიებიდამ სამ-ჯერ და ოთხჯერ მეტი საქონელი, ვიდრე ნება აქვთ. ამ სამწუხარო ამბავმა გამგეობა იძულებული გაჰხადა საზოგადო კრებას მოახსენოს და სთხოვოს ზემოხსენებული წევრნი საზოგადოებიდამ გამორიცხოს.

✦ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ დღეისათვის დანიშნულია ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება, რომელსაც უნდა მოხსენდეს ნახევარ წლის ანგარიში. კრებამ უნდა აირჩიოს სარევიზიო კომისიისა და გამგეობის ზოგიერთი წევრები და მიიღოს ახალნი ამხანაგნი. კრება კანონიერი იქნება, რავდენიც წევრიც უნდა მივიდეს.

✦ ის ამორჩეული თორმეტი კაცი ხელოსანთა შორის, რომელსაც გუბერნატორის ნება დართვით, სერობიანცის სამსახურის დროს დაწყებულ საქმეებისა და საანგარიშო წიგნების გადათვალიერება მიენდო, მომავალ კვირას დაათავებენ საქმის წარმოებას და ამის შესახებ ოქმი წარედგინება ტფილისის გუბერნატორს.

✦ 9 ამ თვეს დანიშნული იმ საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც საგნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ტფილისის სატეხნიკო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო ვერ შესდგა.

✦ გუშინდელ შეერთებულ ქალაქის გამგეობისა და ფინანსთა კომისიის წევრთა კრებაზედ განიხილეს სხვათა შორის ლაბორატორიის გამგის ბ-ნ ალიბეგოვის აზრი იმის შესახებ, რომ რამდენიმე სახლია დათვალიერებული ლაბორატორიისათვისაო. კრებამ დაადგინა: შევიტყოთ დანამდვილებით ფასი ამ სადგურებისა და მაშინ გარდავსწყდეთ ლაბორატორიისათვის სახლის დაქირავების საქმეო.

✦ იმ კომისიის უკანასკნელ კრებაზედ, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ხორცის დუქნების მოწყობა, სხვა-და-სხვა საქმეთა შორის გამოსარკვევია შემდეგი: 1) კომისიამ შეიძინოს საკლავი საქონელი დუქნებისათვის და გამოძებნოს სალსარი, როგორ შეინახოს ეს საქონელი ზამთრობით, ესე პირველ აპრილამდე, სანამ საქონელი ბალახზედ გაირეკებოდეს; შეეკითხოს ბ-ნ მირზოევს რა პირობით შეუძლიან გამოკვებოს ნაყიდი საქონელი თავის მამულში—ჯანდარს! 2) რადგანაც შესაძლებელია რომ საქონელს ჭირი ან რამე ავადმყოფობა აღმოაჩნდეს, ამიტომ მოიწვიონ ბეითალი და აარჩევინონ საქონელი; ეკითხოს აგრეთვე, რა გასაფთხილებელი ღონისძიება მიიღოს საქონლის შენახვისათვის; 3) შევიძინოთ ავტომობილი ქალაქის საყასბოდამ დუქნებში ხორცის გადმოსაზიდათ. ეს ავტომობილი ღირს 3000 მანეთი და შეღავათიანის პირობითაც თურმე იყიდება; 4) ხორცის ნიხრის შემცირებაც საჭიროაო, მაგრამ ყველა ამ საქმის გარდაწყვეტა გარდაიდო შემდეგ კრებისათვის.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულთა ყოფა საშინელი და აუტანელია თურმე. ამ საშინელს ავდრებში უბინაოდ დარჩენილი ხალხი ლამის გაიყლიტოს. როგორც შევიტყეთ, მათთვის არც არსაიდამ შველა, არც გამამხნევებელი რამ თანაგრძნობა! ამ ბოლოს დროს აღარსაიდგან შემწეობა არ მოსდით, ისე შეიკრა თურმე იმ საწყალთა ბედი. გადამწვართ უჭირთ ყველაფერი, დაწყებული ფეხსაცმელიდან ლუკმა-პურამდე. ამ ცოტა ხანში ცხინვალში მათს სასარგებლოდ წარმოდგენას აპირებენ, მაგრამ ეს შველა ამათთვის რა ზღვათ გასკდება! საჭიროა და კვალად საჭიროა დახმარება, ვისაც-კი რით შეუძლიან.

✦ კავკასიის საპრევლო ოლქის მზრუნველს როგორც შევიტყვეთ, შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისში ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დაარსების შესახებ.

✦ საქართველოს საეპარქიო საბჭოს აზრადა აქვს ტფილისში (ჩუღურეთში) ორი ახალი სამრევლო-საეკკლესიო სკოლა დაარსოს.

✦ 8 აგვისტოს, ღამე, ტფილისში, საკუთარ სახლში, მოჰკლეს ტფილისის მოქალაქე ალექსანდრე შადინოვი (40 წლისა). შინ შადინოვი ღამის ორ საათზე დაბრუნებულა, გაუღვიძებია მეეზოვე და უთქვამს, დილის 6 საათისთვის ჩაი მოამზადე და გამაღვიძეო. მეეზოვეს დილით დაუდგამს სამოვარი და 6 საათზე დაურახუნებია კარები, მაგრამ რადგანაც შადინოვს ხმა არ გაუცია, თავი გაუნებებია. ბოლოს, შადინოვი რომ აღარ გამოსულა, მეეზოვეს პოლიციისთვის შეუტყობინებია. პოლიციას გაუღია კარები და ტახტზე უნახავს ზეწარ-წაფარებული შადინოვის გვამი. შადინოვს შვიდი ჭრილობა აღმოაჩნდა. როგორც ეტყობა, მკვლელს პატარა, მაგრამ მჭრელი მახვილი უხმარია. მკვლელს არაფერი არ წაუღია, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ მკვლელობა შურის-ძიებით არის ჩადენილი. გამოძიებას შეუდგნენ, მაგრამ მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს („ცნ. ფურც.“).

✦ ამ დღეებში ერთი კომპანია, რომელთა შორის ერივნენ ბ. ბ-ხნი დ-სკი, გ. კ-ძე და ვ. შ-ივი შესულან მადათოვის კუნძულზედ რესტორანში ჭურის საჭმელად; მოუთხოვიათ აგრეთვე ღვინო-ხადიც; როცა ბ-ნი კ—ძე უსხამდა ამხანაგებს ღვინოხადს, ჰკითხა ამხანაგებს, რა ჰქვია რაც არის ეს ღვინოხადი ესე სქელიო. მეორემ უპასუხა, ალბად როცა ბოთლში ასხამდნენ, ორი ბორცვაა სერფთვი შეცდომით თუ ჩაასხეს. როცა ბ. კ-ძე უკანასკნელად ასხამდა ჭიქებზედ ღვინოხადს, გაჰჭრა ბოთლს და დაინახა შიგ ჩამხრჩვალი რაღაცა. ეს მხიარული კომპანია, რასაკვირველია, მაშინვე დაიშალა. მეტყეობანეს ბოლიციას და ოქმი შეადგინეს. ღვინოხადი გენადის ზავოდში აღმოჩნდა მომზადებული.

✦ სამშაბათს, 6 აგვისტოს საღ. მცხეთაში უსიამოვნობა მოუხდათ დ. დ—ძეს და ცნობილ მდიდარ ვაჭრის ქვრივს ნ. არ.....ს. ამ უკანასკნელმა სიტყვით შეურაცხჰყო დ—ძე. საქმე ასე თურმე იყო: დ—ძე თავის ამხანაგებით და არ—სა ერთ ემაწვილ სტუდენტთან ერთად უცდიდნენ სადგ. მცხეთაში ბათუმიდამ სადამოს მომავალ მატარებელს. დ—მ არ—სას ქუდი მოუხადა და თავი დაუკრა. არ—სამ სალამი არ მისცა. ამ დროს სტუდენტი ბუფეტში იყო. არ—სა მივიდა ბუფეტის კარებთან და დაუყვირა სტუდენტს: ამ პადლეცმა შეურაცხმყოფა მომაყენაო. სტუდენტიც ცოტა ბახუსის გავლენის ქვეშ ბრძანდებოდა და როგორც „კავალერმა“ მოიხმო ჟანდარმები. დ—ძე განცვიფრებული უყურებდა ამ სცენას. ბოლოს ისე გამოირკვა ათი-თორმეტის კაცის მოწმობით, რომ დ—ს კი არ მიუყენებია შეურაცხყოფა, არამედ არ—ისას უსაბუთოდ გაულანძღავს დ. დ—ძე.

✦ გორის სასულიერო სასწავლებელში განმეორებითი და დამატებითი გამოცდა მოხდენილ იქმნება 18 მარიამობისთვიდამ 1902 წლისა, ხოლო მისაღები გამოცდა სასწავლებელში შესვლის მსურველ ბავშვთა 24 მარიამობისთვეს (სასულიერო წოდების ბავშვთათვის) და 26 რიცხვს იმავე თვისას არა სასულიერო წოდების ბავშვთათვის.

✦ თელავის სასულიერო სასწავლებელში განმეორებითი გამოცდა ამ 1902 წელს დაიწყება 16 აგვისტოდგან, ხოლო მისაღები გამოცდა—22 აგვისტოდგან. ამ სასწავლებელში მეორე აღმზრდელის ადგილი მომავალ 1902—1903 სასწავლო წლიდან თავისუფალია და მსურველს შეუძლიან ითხოვოს.

✦ განმეორებითი და მისაღები გამოცდა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში ამ 1902 წელს დაიწყება 25 აგვისტოდგან ($8^1/_2$ საათზე, დილით); მოწაფეები შეიძლება მიღებულ იქნან ყველა კლასებში გარდა მეხუთე კლასისა; სახელმწიფო ხარჯის თავისუფალი ადგილი ამ ჟამად სასწავლებელში აღარ არის.

ჩვენებური ამბები

ახალგაზდა ებრაელთა კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო 6 აგვისტოს ცხინვალში დაზარალებულ ებრაელების შემწეობის აღმოსაჩენად, რაბინის ს. ი. რიჟინაშვილის გარდაცვალების გამო არ შესდგა.

—

რაჭა. აქედგან მოწერილის ამბების შინაარსი მხოლოდ შემდეგია: ცრუმორწმუნეობა, გაუნათლებლობა, ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა-დაჭრა...

მართლა და რაჭა უმეცრების მორევში სცურავს. სიღატაკეს და უბედურებ-ს აქ დაუჩნევია თავისი დაღი. არა მგონია მთელს კავკასიაში მოიპოვებოდეს ასეთი ყოვლად მივიწყებული მხარე. მკითხავი აქ ბატონობს, უფლობს. ოჯახში თუ ვინმე ავად გახდა ექიმს არ მიჰმართავენ, თუნდა მუქთადაც აღუთქვას დახმარება და წამლობა. „ექიმთან როგორ მივიყვან ავადმყოფსო, იქნება ისეთი წამალი მისცეს, რომ უფრო უარესს დღეში ჩააგდოსო“...

მკითხავებისა და სხვა-და-სხვა შემლოცველ ჯადოქრებისთვის-კი უკანასკნელს გროშსაც არ ზოგავენ, მათი ყველაფერი სჯერათ. ამ ჯადოქრებსაც ეს უნდათ: უმეცრებს აძრობენ ტყავს. მღვდლებმა თუ იქადაგეს, მოწინავე კაცებმა თუ წინამძღვრობა გასწიეს, მასწავლებლებმა ბეჯითად სწავლა მოჰფინეს ერს, მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო მკითხავ-ჯადოქრებს...

სერგო კახეთელიძე.

—

სვირი (ქუთ. მაზრა). შედგა მესამედ მოწვეული სვირის სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება. განსახილველი საგნები იყო: 1) გასულის წლის ანგარიში, 2) ამ 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) საჩქოლე ადგილის ქირაობა და იმისი მოწყობა, 4) ნამყენის მდგომარეობა, 5) ვადის დანიშვნა საწევრო ფულის შემოსატანად, 6) საზოგადო კრებების მოსაწვევად დროს დანიშვნა, 7) ახალ წევრთა მიღება.

როგორც წარსულის წლის ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას მუშაობა დაუწყვია პირველ ივლისიდგან 1901 წლისა. ზოგიერთ წევრებს თავიდგანვე ერთი დიდი შეცდომა მოუვიდათ: გამვლელს თუ გამომვლელს, „მტირალს თუ მცინარს“, ყველას წევრობას ეხვეწებოდნენ და ამნაირად შეიკრიბა 147 წევრი. მაგრამ როცა საქმე ფულის გამოღებაზე მიდგა, ყველამ ტუჩი აიბზუა, ზოგმა ისიც-კი თქვა:—მოცლილები ხომ არ არიანო (საწევრო ფული 25 მანეთია). წესდების მე 15-§-ის ძალით: „ის წევრი, რომელიც საწევრო ფულს დადგენილ ვადაზე არ შემოიტანს, ითვლება წევრობიდგან გამორიცხულად და შეუძლიან ხელახლად ჩაირიცხოს წევრად უკენჭოდ, თუ ფული შემოიტანა“! კრებამ წესდების ამ მუხლს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია და დაადგინა: ყველა წევრები გაიყოს ორ რიგად: 1) რომელთაც საწევრო ფულის ნაწილი აქვთ შემოტანილი და 2) რომელთაც არაფერი შემოუტანიათ (ამათი რიცხვი ბევრია); პირველებმა მათზე დარჩენილი ფული უნდა შემოიტანონ მომავალ იანვრის 1-ლამდე, მეორეებმა 7 მანეთი უნდა შემოიტანონ მომავალ ენკენისთვის დამდეგს და დანარჩენი 18 მან. პირველ იანვრისთვის. კრებამ ესეც დაადგინა: ვისაც სურს წევრად ჩაწერა, იმან საბჭოში თავდაპირველადვე ხუთი მანეთი უნდა წარმოადგინოს, უამისოდ ნუ იქნება მიღებული.

წევრების ფულის შემოუტანლობამ ძლიერ შეაფერხა საზოგადოების საქმე: კასსაში ფული რომ ცოტა შემოვიდა, საბჭომ ვერ მოიყვანა სისრულეში საზოგადო კრების გადაწყვეტილებანი, მოაწყო მხოლოდ საჩქოლე: იქირავა ორი ქცევა საუკეთესო ადგილი, დადგა სახლი და დამყნა 32,000 ძირი ვაზი, თუმცა გადაწყვეტილი იყო ემყნათ 100,000 ძირი. საზოგადოების თავმჯდომარედ არის ანთიმოზ ჯუღელი, არა სპეციალისტი, საბჭოს წევრებად არიან: თორნიკე გეგეშიძე (იგივე მდივანი), ადგილობრივი სასწავლებლის ზედამხედველი, ალექსი ცხადაძე, მღვდელი პავლე ქყოიძე. აგრონომი, ს. კაპანაძე, მიწის მუშაკი. რაც შესძლებია საბჭოს, გულმოდგინედ უმუშავნია. რევიზიის წევრებად არიან: გ. ჯუღელი, ი. მემარნიშვილი და კ. ჯუღელი, სამნივე სოფლის მასწავლებლებია; ამათ მთელის წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუხდენიათ რევიზია! ყველანი საზოგადოებას უსასყიდლოდ ემსახურებიან. უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოების საქმეს მაინცადამაინც უკან სვლა არ ეტყობა, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის. თავდაპირველად საზოგადოებას ყველა სიხარულით შესცქეროდა, მერე, როცა დაინახეს, რომ საზოგადოებამ ყველა დანაპირები ვერ შეასრულა პირიანად, ბევრმა გვერდი აუარა, ზურგი შეაქცია. ახლა-კი, რომ დაინახეს საუცხოვოდ გაკეთებული ნამყენი, უმრავლესობას ისევ გული მოუბრუნდა და წინად თუ აგინებდა, ახლა არ იცის, როგორ შეაქოს. ჩვენც ეს გვახარებს.

თორნიკე.

—

ქუთათურ ებრაელების რაბინის სიმონ ისაკის ძის რიჟინაშვილის დასაფლავება.

6 აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ, ერთს პატარა ქოხისებურ სახლის წინ თავი მოიყარა ქუთათურმა მთელმა ებრაელობამ და სხვა

ფელეტონი

(მთიულური ხალხური ლოცვა).

სოფ. გორტიბე.

გვაცოცხლე, იესო ქრისტე,
ნუ მიგვცემ წოლა-ძილსაო,
ნურც უცნაურსა სიზმარსა,
ნურც სალმობასა ძვირსაო.
სწყალობდე ივერის დროშას,
მის ქვეშ მდგომს წვრილს და მსხვილსაო,
ქართლს, კახეთს და იმერეთსა,
ყველა მამულის შვილსაო.
კეთილის თვალით მოხედე
გლახაკს და დავრდომილსაო;
ულხინე საწყალ მთიულსაც,
ბედისგან განაწირსაო:
არს უპოვარი მუშაკი,
მცხოვრები მაღლის მთისაო,
მინდობილია შავს მთასა,
ვითა ნადირი ტყისაო;
მას ღვინის მაგიერადა,
წყარო ზრდის ტინი კლდისაო.
ღმერთო, შენა ხარ მოწყალე,
მომცემი ნუგეშისაო!

—

უსუსური ლიბერალობა

„Пишу. Диктуетъ совѣсть,
перомъ сердитый водитъ умъ“.
Лермонтовъ.

ჩვენს ლიტერატურაში ისევ გაჩაღდა კამათი ძველ „ქამთა სიავის“ გამო. მე მოგახსენებთ იმ საჭირ-ბოროტო საგანზედ, რომელსაც სახელად ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა ეწოდება. სჩანს, ეს „ქამთა სიავე“ ღრმად სწვდება ჩვენის ერის გულსა და სულსა, სჩანს, რომ ეს საჭირ-ბოროტო საგანი წყლულად გარდაქცევია ცხოვრებას, თორემ აქამომდე იგი თავს როგორ არ მოაბეზრებდა მკითხველს და ჩაილულის წყალსა და მეწყერს თან არ გაჰყვებოდა. მაგრამ საქმეც ისაა, როცა ერს რაიმე სოციალური ტკივილი აწუხებს, მაშინ ეს ტკივილი დროგამოშვებით თავს იჩენს და ლიტერატურაც ყოველნაირს „რეცეპტს“, ყოველგვარ წამალს და მალამოს ჰხმარობს მის მოსარჩენად. საზოგადოებაც ხალისით თვალ-ყურს ადევნებს ასეთს პატალოგიურს მოვლენას და მის კურნებას. ჩვენთვის ამ პატალოგიურს მოვლენას შეადგენს სომხობისა და ქართველობის დამოკიდებულება და ჩემის აზრით, მიზეზიც აქ არის, რომ ჟამითი-ჟამად ჩაღდება ხოლმე ჩვენს ლიტერატურაში აღნიშნული ძველი დავიდარაბა.

ქალაქის ხმოსანთა არჩევნის დროის სიახლოვე აქ არაფერ შუაშია. ქართველ საზოგადოებისთვის სომეხთა საქმეს უფრო ვრცელი და უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. ჩვენის დედა-ქალაქის თვით-მმართველობა, მისი ბედი და იღბალი, თუნდ მთლადაც ქართველობას ხელში რომ ჩაუვარდეს, მაინც ამით კამათს ბოლო არ მოეღება და სომხობის გამოწერის სურვილი არ მოისპობა, ქართველის კალამი არ დასცხრება. რასაკვირველია, ტფილისი დიადი ისტორიული საუნჯე და ძეგლია ჩვენის ისტორიისა, მაგრამ მაინც ჩვენი დედა ქალაქი მცირედი ნაწილია საქართველოსი. ბერნეს სიტყვისა არ იყვეს, თუ პარიჟი საფრანგეთისათვის თავი-კი არა, არამედ ქუდია, რომლის მაგიერ შეიძლება სხვა დაიხუროს, მაშ ჩვენთვის ტფილისი უბრალო ფაფანაკიც არ იქნება. ჩვენი დედა ქალაქი ხშირად მტერს სჭერია და ქართველობას მაინც თავი არ შეუწუხნია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩვენი ეროვნება და ჩვენი მიწა-წყალი შიშს გარეშე იმყოფებოდა და მტერს ფიქრადაც არ მოსდიოდა, ჩვენი ხალხოსნობა და ვინაობა შეელახა. უპირველეს ყოვლისა, ქართველისათვის საზრუნველი ეროვნობის შენახვა იყო, ბ პაწია დედა-ქალაქი დროებით სხვას რომ სჭეროდა, ეს მაგრე რიგად არავის ადარდებდა. ამიტომაც ჩვენს მატიანეში ძნელად შეხვდებით, რომ ქართველობას თავი გამოედოს ბ იერიშით მისულიყოს უცხოელ მეციხოვნებზედ დედა-ქალაქის განსათავისუფლებლად.

დიაღ, საარჩევანო სეზონის სიახლოვე არაფერ შუაშია, რომ კამათი ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულების გამო გაახლდა... ამ კამათის საგანი წყლულად გამოსვლია საზოგადოებას და ვიდრე ეს წყლული არ გამოირწყვის, საქმეს არა ეშველება რა.

თქვენი რა მოგახსენოთ და მე-კი სახტად ვრჩები, როცა თვალ-ყურს ვადევნებ ახლად გაჩაღებულ კინკლაობას ძველ „ქამთა სიავის“ გამო. მაოცებს და მაკვირვებს მეტადრე „ცნობის ფურცლის“ ღაღადისი ძმობასა და ერთობაზედ... „კვალის“ ქადაგება აქ მოსატანი არც-კია, ვინაიდგან ეს დარბაისელი სამეცნიერო გაზეთი იმ თავითვე ყოველ ეროვნებას გულ აცრუებით უცქეროდა, ყოველთვის კუჭსა და სტომაქს დასტიროდა და ზეციურ მამას მუდამ მარტო ამას სთხოვდა—„მოგვეც პური ჩვენი არსობისაო“... ღმერთმა ინებოს, რომ „კვალს“ სათხოვარი შესრულებოდეს, მარტო უბრალო პური-კი არა, ქადა და ნაზუქიც უხვად მისცემოდეს, მაგრამ ამასთანავე-კი არც ის დავიწყებოდეს, რომ „არა ერთითა პურითა ცოცხალ იქმნების კაცი“...

ჰო, იმას მოგახსენებდით, „ცნობის ფურცელმა“ მორთო მაღალ ჰანგზედ გალობა ძმობისა და ერთობისა. კარგი და პატიოსანი. მაგრამ იყო დრო—და ეს დრო არც შორეულია, — როცა პატივცემულ გაზეთის პუბლიცისტებს ზაფრის ქარი მოსდიოდათ, რადგანაც „ივერია“ სწორედ მაგ ძმობისა და ერთობის საჭიროებას ჰქადაგებდა. ეგ ხომ დახავსებული და დაობებული ლიბერალობაა და ახალი პროგრესიული მოძღვრება არ გესმითო. თქვენც გეხსომებათ, თუ რა კიჟინი მორთეს და რა კილვითა და კიცხვით შეამკეს ძმობა და ერთობა! ახლა დრონი იცვალნენ და „ცნობის ფურცელმაც“ ფერი იცვალა. დიდადაც საგულისხმოა, რომ პროგრესიული გაზეთი ასე ხშირად ფერს ცვლილობს და, დროთა მსვლელობის მიხედვით, ხან ერთს მღერის და ხან მეორეს! მაგრამ უფრო საყურადღებოა ეს ახალი ლათაია ძმობისა და ერთობისა.

მე რომ მკითხოთ, ეს ლათაია უფრო გარედგან მონაბერია, ვიდრე შინაურია. მაინც ამ ბოლოს დროს სომხობის ვექილობა „ცნობის ფურცელს“ საღმრთო მოვალეობად დასჩემდა. არ ვიცით, ამ შემთხვევაში ახლოდ მდგბარე ვანქის ტაძრის მადლია მიზეზი თუ სხვარამე, მაგრამ ცხადი კია, რომ პატივცემულ გაზეთს თვალში ეკლად ეჩხირება, როცა ვინმე ქართველი უსიამოვნოს რასმე იტყვის ხოლმე სომხობაზედ. ამ მხრივ ზოგი „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტი კიდეც აჰარბებს წმინდა სისხლის „აზგასერსა“. რასაკვირველია, სომხობას ქართველი ვექილი არ ესაჭიროება, მაგრამ ეს ახლად მოვლენილი ვექილობა კერძოდ ჩვენთვის მაინც ფრიად შესანიშნავი ამბავია. ეს ამბავი ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენებური პუბლიცისტიკა ჯერ კიდევ ჰყინტლი და მოუსვლელია, მარტო ლიბერალურ ფრაზეოლოგიას დამყარებია და სადაც დოსტაქრის მახვილია საჭირო, იქ მაღალ ფრაზებიან შელოცვით მოუნდომნია ხალხის ჭრილობის განკურნება. ცხადია, რომ ქართველ პუბლიცისტის „ვექილობა“ უფრო ჩვენის პუბლიცისტიკის უსუსურობისა და ძალღონის გამომხატველია, თორემ ვინ არ იცის, რომ სომეხნი იმდენად თამამნი და ლაღნი არიან, რომ ჩვენი წახალისება და წათამამება არ ესაჭიროებათ. ჩვენი პუბლიცისტიკა-კი მეტიჩარობს და შინ რომ ვერა მოუხერხებიარა, თავისთვის რომ ღმერთს არ უქმნია, სხვას ჰქომაგობს და ჰფარველობს!..

გვესმის როცა „ნოვოე ობოზრენიეს“ ხელმძღვანელი ღაღადებს, ძმობა და ერთობა საჭიროა ქართველთა და სომეხთა შორისო; გვესმის აგრეთვე, თუ რად ან რისთვის ესეთი ღაღადისი მიმართულია მარტო ქართველთა მიმართ, თუმცა ამ ძმობასა და ერთობას სომეხნი არღვევენ და უარჰყოფენ, მაგრამ ვერ

სარწმუნოების საზოგადოებამ. ებრაელი, მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანი, მაჰმადიანი და სხვ.—ყველა ამ ქოხს მისჩერებოდა. ქუჩაზედ გაჩერებული ბალდახინი გვამცნევდა, რომ აქ მიცვალებული უნდა ყოფილიყო. მერე, ვინ იყო ეს მიცვალებული, რომელმაც თავი მოუყარა ყველა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელთ? ეს იყო ერთი ებრაელთა ღარიბი რაბინი ს. ი. რიქინაშვილი, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია გულის სიგანიერით იყო ავად და 5 აგვისტოს, ღამით, ისე უეცრად გამოესალმა წუთისოფელს, რომ უბრალო ანდერძის დატოვებაც-კი ვერ მოასწრო. სიმონ რიქინაშვილს არ მიუღია დიდი სწავლა, მაგრამ, რაც მიიღო, მითაც იმდენი ღვაწლი დასდო ქუთათურ ებრაელებს, რომ სამუდამო ბინა დაიმკვიდრა მათს გულში. ის არ იყო ზოგიერთ ფანატიკოს რაბინთა მსგავსი, რომელთაც დაბადების მეტი არა სწამთ-რა და ზიზღით უყურებს ყველაფერს არა-ებრაელურს. სიმონ რიქინაშვილი იყო ჯერ კაცი, რომელიც მთელ თავისს ცოდნას, თავისს სიმდიდრეს ანდომებდა მოძმეთა კეთილდღეობას და მერმე—რაბინი, სულიერი მამა, რომელიც დიდსაცა და პატარასაც, ებრაელსაც და არა ებრაელსაც მამაშვილურად ეკიდებოდა და აერთებდა სარწმუნოებას, ეროვნებასა და მეცნიერებას—რასაკვირველია, შეძლების-დაგვარად. გარდაცვალების წინ რამდენიმე საათით ის ახალგაზდა სიონისტების წრეში მჯდარა და ჰქონია მათთან მსჯელობა ამ მოძრაობის შესახებ. მისი ქოხის კარები ყველასათვის ღია იყო და ყოველი მისი ქონება ყველას ქონებას შეადგენდა. მის ადგილზედ რომ სხვა ებრაელი ყოფილიყო, ორ-სამ სართულიანი სახლები ექმნებოდა წამოჭიმული, მაგრამ ის ამგვარ წარმავალ სიმდიდრეს არ ეძებდა; ის უფრო მკვიდრს, არა საორდილისო სახლებს იდგამდა ხალხის გულში და კიდეც დაიდგა. სწორედ ამის დამამტკიცებელი იყო ებრაელთა ის მწარე, გულამოსკვნილი ქვითინი და წრფელ ცრემლთა ღვრა, რომელმაც არა ერთს ებრაელს თვალზე ცრემლები მოაყენა. ამის დამამტკიცებელი იყო ისიც, რომ ეს აუარებელი საზოგადოება ქალაქიდგან სამ ვერსზედ დაშორებულ სასაფლაომდის მიჰყვა მიცვალებულს და სულ ხელით წაასვენა მისი ღარიბული კუბო, რომელსაც ამკობდა თერთმეტი გვირგვინი. საფლავის წინ ახალგაზდა სტუდენტმა ს. ვოლოხმა და ქალაქის ბეითალმა ბ-ნმა ლანგმა მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს; აღნიშნეს მიცვალებულის მოღვაწეობა, მისი კეთილი გული, ახალგაზდობისადმი თანაგრძნობა, მოსწავლე თაობაზე ზრუნვა და სხ.

სიმონ რიქინაშვილმა ქუთათურ ებრაელებს ქართული ენის საშუალებით ებრაულის შესასწავლად სახელმძღვანელოც დაუტოვა, სახელად „სინუხ ანეარიმ“, რომელიც ორჯელ გამოიცა იერუსალიმში ავტორის ხარჯით. ის ზოგიერთს ებრაულ გაზეთებშიაც თანამშრომლობდა.

აი, ეს იშვიათი ქართველი ებრაელი გამოეთხოვა წუთისოფელს და არც გასაკვირველია, რომ ყველასათვის საწყენად დარჩენილიყოს. განისვენე, კეთილო ებრაელო, წიაღსა შინა აბრაამისასა და იყავ მაგალითად ქართველ ებრაელებისათვის.

დონ-ვალიანი.

—

ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლი. ყველამ კარგად ვიცით, რომ დაუვიწყარ მგოსან-ბელეტრისტის ალექსანდრე ყაზბეგის გვამი ასვენია სოფ. სტეფანწმინდაში, თავის მამა-პაპათა სავანეში. ეხლა ხანს ჩვენ ვნახეთ ყაზბეგის საფლავი და მასზედ დადგმული ბრინჯაოს ძეგლი მწერლის სახით. რუსეთიდგან თუ საზღვარ-გარეთიდამ მომავალი ტურისტი უსათუოდ გადმოხტება ხოლმე სადგ. ყაზბეგში და მიდის ალექ. ყაზბეგის საფლავის სანახავად, რადგან გზის მაჩვენებელ ყველა წიგნებში მოთავსებულია, რომ ამა და ამ ადგილას მარხია ქართველების გამოჩენილი მწერალი ყაზბეგი. სწორედ ამ აზრით სადგ. ყაზბეგში კავკავის გზით პეტერბურგიდამ მოვიდა ორი ტურისტი, ახალგაზდა ქალი. მოსვლის უმალვე იკითხეს ყაზბეგის საფლავი (სადგურიდამ საფლავამდე რამდენიმე ნაბიჯია). დაათვალიერეს ძეგლი, ძლიერ მოეწონათ, მაგრამ უფრო დიდი ყურადღება მიაქციეს წარწერას ჯვარზედ. ეს ჯვარი ადგას ერთ საფლავის ქვას, რომელიც ყაზბეგის ძეგლზედ მიკრულია. ჯვარზედ აწერია რუსულად: „აქ განისვენებს გვამი მოკლულის ივანე ნიკოლოზის ძის ყაზბეგისა. ტურისტ ქალების ცნობის მოყვარეობა გამოიწვია სიტყვამ „მოკლულმა“ და შეეკითხნენ იქვე მდგომ ყაზბეგის ნათესავ ქალს:

— თუ არ შეგაწუხებთ, გვიამბეთ, ვინ მოკლა და ან სად მოჰკლეს თქვენი გამოჩენილი მწერალი ივანე ნიკოლოზის-ძე ყაზბეგი?

— ჩვენ ივანე ნიკოლოზის-ძე ყაზბეგი მწერალი არა გვყოლია. იყო პასუხი.

— როგორ არა, ეს ძეგლი ხომ თქვენი მწერლისაა?

— არა, ეგ სხვისაა და ეს ძეგლი-კი მართლა ჩვენი მწერლისაა, ალექსანდრე მიხეილის-ძე ყაზბეგისა. ალექსანდრე არ მოუკლავთ, ის გარდაიცვალა საავადმყოფოში.

ტურისტ-ქალებმა ორჯელ კიდევ შემოუარეს გარშემო ძეგლს, მაგრამ ერთი ასოც ვერ იპოვნეს მწერლის სახელისა.

— გვაკვირვებს, რომ ზედ წარწერა არა აქვს! რას უნდა მივაწეროთ ეს? დაეკითხნენ ტურისტი ქალები.

მოპასუხე ქალმა ვეღარა იპოვნა-რა პასუხად, არც უნდოდა ქართველების უთაურობა გამოემჟღავნებინა ასრე მოახსენა:

— წარწერიანი ძეგლი შეკვეთილი ჰქონდა ერთს ოსტატს, მაგრამ დღემდის ვერ დაუსრულებიაო.

— **დიდი და დიდი უთაურობაა,** წარმოსთქვა ერთმა ტურისტ ქალთაგანმა ისეთი კილოთი, რომ გულში დახვარივით ეცა მოპასუხე ქალს და სწყინდა, რომ უცხო ქალებმაც კი გაიგეს ჩვენი უთაურობაო.

არა, მაგას რათა ბრძანებთ, არა მარტო ჩვენს ქართველებშია უთაურობა, სხვა ერსაც არ აკლია და არც რუსეთია ამის ხამი.

— არა, ქალბატონო, შეიძლება რუსეთში ბევრი უთაურობა იყოს, მაგრამ ამისთანა უთაურობა ძლიერ იშვიათად მოხდება. თითქმის მთელი რუსეთის მწერლობა იცნობს ყაზბეგს და მისი ასე უყურადღებოდ დატოვება დიდი დანაშაულია. დიდათ გმადლობთ, რომ აქ შემთხვევით შეგხვდით და ამიხსენით ყველაფერი. მე დარწმუნებული ვარ რომ არც ერთი ტურისტი არ დაავდებს უყურად დებოდ ამ ძეგლს, რომ არა ნახოს... ამ სიტყვებით გამოემშვიდობნენ და გაუდგნენ გზას რუსი ქალები.

ჩვენ ვიცით, რომ განსვენებულის ალექ. ყაზბეგის საფლავს ძეგლი დაადგა პატივცემულმა თ. კოლტ. ივ. მუხრან-ბატონმა. ძეგლი შეკვეთილი ჰქონდა მოქანდაკე ხოდოროვიჩს. ეხლა არ ვიცით, ხოდოროვიჩის მოვალეობა იყო წარწერაც თუ არა? ასე თუ ისე ქართველი საზოგადოება მოვალე იყო ყურადღება მიექცია თავის წარჩინებულ მწერლის საფლავისათვის და მისი ძეგლი შესაფერისად მოეწყო.

ივ. მჭ.

უცხოეთი

საფრანგეთი. კაცისა და მოქალაქის უფლებათა ლიგა კონგრესის მოწვევას აპირობს რუმინიელ ებრაელთა სასარგებლოდ; კონგრესის მოსამზადებელ კომიტეტში მონაწილეობენ ემ. ზოლა, ოქტავ მირბო, ქლარესი და სენატორი ტრარიე; კომიტეტი უწინარეს ყოვლისა საქვეყნოდ გამოუცხადებს პროტესტს რუმინიის მთავრობასო.

ინგლისი. როგორც გაზ. „Standard“-ი იუწყება, მეფე უეჭველად ინახულებს ირლანდიის ან შემოდგომაზედ, ან მომავალ გაზაფხულზედაო.

„Daily Express“-ის სიტყვით მთავრობას განუზრახავს შეადგინოს სანავოსნო და რკინის გზების საიმპერიო ამხანაგობა (ტრესტი), რომ ახალშენებთან მიმოსვლა გაიადვილოს და მით უფრო განამტკიცოს მათთან ურთიერთობა.

ამ საქმის განხორციელება ჩემბერლენს უდევია თავსა; მინისტრს სხვათა შორის ის აზრი აქვს, რომ დიდმა ბრიტანიამ სხვა ქვეყნებიდგან გამოჰზიდოს სახელმწიფოსათვის საჭირო პური და არა შეერთებულ შტატებიდგან, რომლის პურითაც იკვებებოდა დღემდე ინგლისი. უკვე დაიწყო ყოველთვიური მიმოსვლა გემებისა კანადასა და სამხრეთ-აფრიკის შუა. კანადის მთავრობა ჯერ-ჯერობით ხუთი წლით შეჰკვრია ახალს სანავოსნო ამხანაგობას (ტრესტს).

ავსტრია უნგრეთი. როგორც „Berliner Tageblatt“-ს ატყობინებენ ვენიდგან, წინააღმდეგ იმ ხმებისა, ვითომც პირველი მინისტრები, კერბერი და სელლი, საბოლოოდ შეთანხმდნენო, ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, როდის მოხდება ეს შეთანხმება (სრული) ან მოხდება ოდესმე, თუ არა, თუმცა იმპერატორი დიდად მოწადინებულია, რომ როგორმე სახელმწიფოს ორსავე ნაწილისათვის სასარგებლოდ დასრულდეს ეს გაუთავებელი მოლაპარაკება. უთანხმოებას იწვევს ზოგიერთი მუხლი თავისუფალ ტარიფისა, რომელიც უმთავრესად შეეხება უნგრეთის წარმოებითსა და ავსტრიის შემმუშავებელ მრეწველობათა; როგორც ვიცით, ეს ორი დარგი მრეწველობისა ერთმანერთის მოპირდაპირეა და მეტად ძნელია მათთვის ერთისა და იმავე საზომის გამოჭრა. კერბერი და სელლი ორნივე იყვნენ იშლში იმპერატორთან, მაგრამ ცალკ-ცალკე ინახულეს იგი, რადგან საერთო პროგრამმა ვერ შეადგინათ. იმპერატორის სურვილისამებრ მისისავე თანადასწრებით იშლში უნდა მოხდეს მინისტრ-პრეზიდენტთა მოლაპარაკება და, რაც უნდა გაუხდეთ, მაინც ერთს გზას უნდა დაადგნენ ორივენიო.

ოსმალეთი. ალბანიის საქმეებმა მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო; არ იცის კაცმა, რით გათავდება ეს მხეცური ქლეტა ადგილობრივ ქრისტეანეთა.

ბელგრადის ერთს გაზეთში დაბეჭდილია ერთი დაუჯერებელი ამბავი. აგვისტოს 5 (ახ. სტ.) იპეკში დიდი ყრილობა ჰქონიათ ალბანელებს და დაუდგენიათ, ვსთხოვოთ ხონთქარს, ნება მოგვცეს, რომ ერთსა და იმავე დროს დავესხით თავს ჩერნოგორიასა და სერბიასაო და ავიკლოთ ორივე სამთავრებიო, ამისათვის ოსმალეთის მთავრობამ მოგვცეს 20,000 მარტინის თოფი და სხვა საჭირო საომარიო; გაზეთი დასძენს, რომ ალბანელთა გადაწყვეტილება დეპეშით აცნობეს ილდიზ-კიოსკსაო.

თეატრი და ხელოვნება

ბათომი. როგორც მოგეხსენებათ, ბათომის ქართველები რიგიანს ქართულ წარმოდგენებს მოკლებული არიან. წელიწადში მხოლოდ ერთხელ გვეწვევიან ხოლმე ჩვენი ნიჭიერი მსახიობნი: ბ-ნი მესხიშვილი და ბ-ნი გუნია თავ-თავის დასებით და ორს-სამს წარმოდგენას ჰმართავენ აქ. ამ წარმოდგენებს საზოგადოება ბლომად ესწრება და სტკბება მათის ხელოვნურის თამაშით.

ამ ერთის წლის წინად სცენის მოყვარეთა დასი გვყვანდა. ეს დასი თვეში ერთხელ-ორჯელ წარმოდგენებს ჰმართავდა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის პირები, რომლებიც ამ დასში მონაწილეობას იღებდნენ, კარგად და დაკვირვებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს; მათი თამაშით საზოგადოება კმაყოფილი რჩებოდა. დასის მეთაურებად ითვლებოდნენ ქ. მგელაძისა და ბ-ნი ხარაზიშვილი. იგინი დიდის ენერგიით მოეკიდნენ საქმეს და დასი სასურველს ნიადაგზედ დააყენეს. თვეში ორის წარმოდგენის მაგიერ ჩვენ გვსურდა, რომ ოთხჯერ მაინც გაემართათ წარმოდგენა, მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ერთი წელიწადია მას აქეთ, რაც ქ. მგელაძის და ბ. ხარაზიშვილის შუა, როგორც რუსები იტყვიან, შავმა კატამ გაირბინა. ამის შემდეგ დასი დაიშალა და ასრე დავისაჯენით ბათომის ქართველები და უთეატროდ დავრჩით.

—

ბ-ნმა ნ. კალანდარიშვილმა შეადგინა სცენის მოყვარეთაგან დასი და დაიწყო წარმოდგენების მართვა. მართალი უნდა ვსთქვათ, ბ-ნ ნ. კალანდარიშვილის შედგენილმა დასმა ვერავითარი ნიჭი ვერ გამოიჩინა; საზოგადოებაც ნაკლებად ესწრებოდა მის წარმოდგენებს, ასე რომ დასს დიდხანს არ უცოცხლია.

—

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც უწინდელ სცენის მოყვარეებმა ქართველ საზოგადოების თხოვნით ბ-ნ ხარაზიშვილის და ქ-ნ მგელაძის მეთაურობით, საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენა გამართეს; წარმოადგინეს „პარიზელი ღატაკი“. საზოგადოება ბლომად დაესწრო, წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა, ყველა მსახიობნი კარგად ასრულებდნენ თავის როლებს, მეტადრე ბ-ნი ხარაზიშვილი. ბათომის ნოქრებმა ვერცხლის პორტფელიც-კი მიართვეს ბ-ნ ხარიზიშვილს, ისე კარგად თამაშობდა.

სასურველია, ქ მგელაძისამ და ბ. ხარაზიშვილმა უარჰყონ ყოველივე პირადი უკმაყოფილება და კვლავ განაგრძონ თავიანთი დაწყებული საქმე. ნუ დაივიწყებენ, რომ წიგნ-გაზეთებთან ერთად თეატრი უძლიერესი საშუალებაა ერის წინ-წაწევისა.

ჩვენდა საუბედუროდ, ბ. კალანდარიშვილმა ხელ-ახლა შეადგინა დასი და შეუდგა წარმოდგენების მართვას. რა ბოლო ექნება ბ. კალანდარიშვილის დასს, ალახმა უწყის. ვეჭვობთ-კი, რომ საქმე სასურველ ნიადაგზედ დადგეს. ამ დასთან ერთად ქართული ხოროც დაარსდა ბ. საყვარელიძის ლოტბარობით.

პიპიკო.

ნარკვევი

თუმცა ქალაქში აგრილდა, მაგრამ „ცნობის ფურცელმა“ ბოდვა მაინც არ მიატოვა.

„ივერიაში“ ამას წინად აღნიშნული იყო ის გულის წყრომა, რომელიც გამოიწვია „ცნობის ფურცლის“ საკვირაო დამატებაში დაბეჭდილმა ესკიზმა მეგრელების ცხოვრების შესახებ. იმ დღიდგან „ცნობის ფურცლის“ დედა ბოძებმა ასტეხეს ერთი დავიდარაბა, რომელიც ჯერაც არ გათავებულა.

ახლაც გუშინდელ ნომერში ვიღაც ახალი გადიი ამ გაზეთისა წუწუნებს:

„რცხვენოდეს დარბაისელ „ივერიას“, რომ ასეთ დაკანგებულისა და შეუწყნარებელის საშუალებით სარგებლობსო“...

საბრალო გადია! სომხის ჩარჩების მოტფერიალე ბებრუცანას ანაზდეულად მარცხი მოუვიდა და ხმაურობა რომ დაჰფაროს, ვის რას არ აბრალებს საცოდავი!

არა, „ივერიას“ არაოდეს არ ჩაუდენია და, იმედია, არც ჩაიდენს ისეთს რასმე რის შემდეგაც სირცხვილისაგან ფერი ეცვალოს. პირიქით, „ივერიას“ რცხვენოდა, და სამართლიანადაც რცხვენოდა, როდესაც ამას წინად ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში დირექტორის ბ-ნ აბულაძის ამორჩევის შესახებ „ცნობის ფურცლის“ ერთმა კბილ-მოკვეთილმა დედა-ბოძმა ამ არჩევნების შესახებ წუწუნით შესჩივლა თავის მკითხველებს:

„ქუთაისის ბანკის საქმეები ძალიან აწეწილია და საჭირო იყო გამოცდილი და მცოდნე კაცი ამოერჩია დამსწრე საზოგადოებასა და არა ისეთი, როგორიც ბ. აბულაძეაო“.

და თან ბანკის უბნისაკენ ნიშნით უჩვენებდა ადრესსაც იმ გამოცდილ და მცოდნე კაცისას.

აი ამისთანა მადის დასაკმაყოფილებლად გამოწვეულ წერილებისათვის რცხვენოდა „ივერიას“ „ცნობის ფურცლის“ მაგიერ და მის სადედლე ბებერმა აგდებმა, რაც უნდა იწუწუნონ, მსჯელობაში „ივერიის“ ბოროტს ვერაოდეს ვერ დაამტკიცებენ, პირიქით ყველას დაანახვებენ რომ თვითონ ტაბუხს იკრავენ.

ბიბლიოგრაფია

როგორც ვიცით, მარშან ყოვლად სამღვდელო კირიონმა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეს გამო დაჰბეჭდა თვის მიერ შედგენილი დიდის ტანის წიგნი: „Исторія Грузинской церкви и Экзархата за XIX столѣтіе“... ყოვლად სამღვდელომ ეს თვისი შრომა სიჩქარით შეადგინა და ამის გამო წიგნში აქა-იქ შეცდომები იყო, რომელსაც ვერც ერთი მკვლევარი ისტორიისა და მეცნიერების სხვა დარგისა ვერ ასცდება...

მაინც ამ შრომამ მიიქცია ყურადღება რუსულის მწერლობისა. ეპ. კირიონის წიგნის შესახებ დაიბეჭდა ვრცელი წერილები სხვა-და-სხვა ავქსონების შემდეგს რუსულს ჟურნალ-გაზეთში: „Церковныя Вѣдомости“, „Странникъ“. „Историческій Вѣстникъ“, „Кавказскій Вѣстникъ“, „Кавказъ“-ში და სხვ... შრომის დამფასებლები მეტად კარგის აზრისანი არიან ყოვლად სამღვდელოს ნაწარმოების შესახებ. მართლაც და, წიგნის გეგმა მეტად ვრცელია და შეეხება საქართველოს ეკკლესიის ცხოვრებას ყოვლის მხრივ.. ყოვლად-სამღვდელოს თხზულებას ამ ხანად ჯერ ბადალი არ მოეპოვება იმ სხვა ამ გვარ თხზულებათა შორის, რომელნიც-კი საქართველოს ისტორიას შეეხება.

რაიცა შეეხება ამ წიგნის ზოგიერთს ნაკლულევანებას, თვით ყოვლად სამღვდელო კარგად ჰგრძნობს, რომ მისს შრომას ბევრი რამ აკლია (კათედრების დაქმების ისტორია და სხვ.) და ამიტომაც ამ ჟამად ამზადებს იგი ამ წიგნის მეორე გამოცემას, შევსებულს და შესწორებულს.

მეორე გამოცემა წიგნისა დაიბეჭდება 1903 წლის იანვრისთვის, უკეთუ ნივთიერი ღონის-ძიება აღმოჩნდება და ესახსრობა მოულოდნელად არ დააბრკოლებს წიგნის ბეჭდვის საქმესა.

ამ თხზულებამ და მასთან შეკავშირებულმა ყოვლად სამღვდელო კირიონის სხვა ნაწერებმა მიაქცევინეს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ყურადღება რუსეთის სასულიერო აკადემიის პროფესორებსა (პოკროვსკის, ბერდნიკოვს, იუნგეროვს). ეს პროფესორები დიდად აფასებენ საქართველოს წარსულის გამოკვლევას და სცდილობენ საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შესასწავლად რუსეთის ერთ-ერთს სასულიერო აკადემიაში დაარსებულ იქმნას კათედრა, სავალდებულო სასწავლო განყოფილებაზე მოსწავლე სტუდენტებისათვის...

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ყოველს ერს აწმყოში არსებობის და ეროვნულ განვითარების უფლება აქვს, სხვათა-შორის, იმის მიხედვით თუ რა ღვაწლი მიუძღვის წარსულში, როგორ იცავდა საერთო-საკაცობრიო და კულტურით მოსილს იდეალებს, უნდა აღვიაროთ, რომ ყოველივე კეთილსინდისიერი გამოკვლევა, რომელიც-კი საქართველოს წარსულს შეეხება, დიდ მნიშვნელოვანი საქმეა; ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ყოვლად სამღვდელო კირიონის თხზულებას, რომელიც, მართალია, დაწერილია რუსულად, მაგრამ სწორედ ამ გარემოების წყალობით ამ მესანიშნავის წიგნის წაკითხვა და გაცნობა არ გაუჭირდებათ რუსეთისა და დასავლეთის ევროპის მეცნიერებს. ეს გარემოება-კი მცირე საქმე არ არის ჩვენთვის...

ყოვლად სამღვდელო კირიონივე ყაზანის სასულიერო აკადემიის საეკკლესიო უფლების პროფესორის ბერდნიკოვის თხოვნით ადგენს ამ ჟამად „საქართველოს საეგზარხოსოს საეკკლესიო ცხოვრების ისტორიას“... საქართველოს საეგზარხოსო საქართველოში კათალიკოსობის მოსპობის შემდეგ (1811 წელს) არსებობს რუსეთის უწმიდესის სინოდზედ დამოკიდებულობით, მაგრამ იგი განსხვავებულია, როგორც ეროვნული საეკკლესიო ისტო-

---

გაგვიგია... დიაღ, ბატონებო, ძმობა და ერთობა, კაი მოგცეთ ღმერთმა, რომ კარგი სწავლაა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იგი ყველასთვის სავალდებულოა. თორემ დაჩაგრულს და გაძარცულს ძმობა და ერთობა რომ უქადაგო და მჩაგვრელს-კი ალვირი მიუშვა და ნება მისცე, ითარეშე და ინავარდეო,—მაშინ, აბა, თქვენს მზეს, რა ძმობა და ერთობა იქმნება. ბ-ნი გათუმანიანცებული თუმანიშვილიც ხომ სწორედ ასეთს ძმობასა და ერთობას ემსახურებოდა და ახლაც ემსახურება და თანაც იბუტება, რომ არ უსმენენ და ყბად იღებენ. ახლა ასეთის ქადაგებისა საღერღელი აშლიათ—ცნობის ფურცლელ პუბლიცისტებსაც და მთელ „პროექტს“ გვიწერენ,—თუ როგორ უნდა მოვთავსდეთ ერთმავეთში ჩვენ და სომეხნი. თუ მართალი გნებავთ, მეტიც არის, რომ ქართველ ხალხს უქადაგო, ძმობა და ერთობა იქონიე მეზობლებთანაო. მთელი ჩვენი ისტორია ამტკიცებს, რომ ქართველი ყოველთვის ძმებად სთვლიდა კავკასიონის მკვიდრთა და ჩვენის მატიანის პირველსავე გვერდზედ მოთხრობილია, რომ ჰაოსი ღვიძლი ძმა იყო ქართლოსისაო. იმ თავითვე აქამომდე ქართველს სომეხი ძმად მიაჩნდა და, გაჭირვების დროს, ნამდვილ ძმობასაც უწევდა. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის სომხობაზედ. თითქმის არც ერთი ძველი მეისტორიე სომეხი კეთილად არ იხსენიებს საქართველოს და, როცა შემთხვევა ქძლევა, შხამსა და გესლს არ იშურებს ჩვენის სამშობლოსთვის. გიკვირს და გიოცდება, თუ ასეთი რა დაუშავა ბედკრულმა საქართველომ თავისს მეზობელ ერსა, რომ მაგალითებრ, ვარდან დიდიც-კი დიდებულს ვახტანგ გორგასლანს მხდალად და მშიშარად ჰხადის და იმის ლაშქარს უპატიურად იხსენიებს!.. იქნება, თქვენც მოგეხსენებოდეთ, რომ პირველადვე სომეხნი მიწა-წყალს გვედავებოდნენ და სულ იმის ფიქრსა და ცდაში იყვნენ, რომ გაეგლიჯათ რამე. როცა შეეძლოთ, აკი გაგვგლიჯეს კიდეც და ვანის არე-მარედგან აქეთკენ გამოგვლალეს. ახლანდელი გარემოება ხომ ყველას თვალ-წინ უდგია. ახლა სომხობა სურამის უღელტეხილისკენ მიგვერეკება. კადნიერება იქამდე მივიდა, რომ მთელი საქართველო რუკაზედ სომხეთად დახატეს და ასეთი რუკა „დიდის სომხეთისა“ მთელ ევროპას მოჰფინეს. ეს ხომ ასეა, მაგრამ ძმობასა და ერთობას მაინც ჩვენ გვიქადაგებენ და კაცთა მძულვარედ ჩვენვე გვთვლიან! ცხადზედ ცხადია, რომ ქართველობა მხოლოდ მოსეულს მეზობელს იგერებს და ამასაც-კი, ძმობისა და ერთობის სახელით, ჩვენვე დანაშაულად გვდებენ და მერე იცით ვინ?—ჩვენნივე ლიბერალნი! სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს!

მაგრამ ჩვენი ლიტერატურული უსუსურობაც სწორედ იმაშია, რომ ახლაც მაღალი ფრაზა გვხიბლავს. ლიტერატურული „ეტიკეტი“ კერპად გავიხადეთ და ამიტომ ქართველ პუბლიცისტს ისრე არა ასიამოვნებსრა, როგორც „პროგრესისტის“, „ლიბერალის“ სახელი. მეზობლებმა კარგად იციან ეს ჩვენი სისუსტე და ასე ხშირადაც წინ გვიფენენ სხვა-და-სხვა ლიბერალურ და პროგრესიულ ზიზილ-პიპილებს. როცა ეროვნული ბრძოლა არსებობს, მაშინ კლასებრივს ასახელებენ,—ბურჟუა ებრძვის ქართველ ფეოდალს და არა სომეხი ქართველსაო... ჩვენც ასეთს ბრძოლას ტაშს ვუკრავთ და სინამდვილეს კი ვერ ვხედავთ. ახლა კიდევ ძმობასა და ერთობას ჩვენვე გვიქადაგებენ, თითქო ქართველობა უარ-ჰყოფდეს ამ საღმრთო მოძღვრებას!..

დროთა ბრუნვამ გუშინდელი ჩუმი და წყნარი მეზობელი ონავრად გაგვიხდა, ეს ონავარი მოგვისია და იერიშით ზედ მოგვაყენა. ჩვენ-კი მოგერების ნებასაც არ გვაძლევენ. დიაღაც, რომ ძმობა ღვთიური სწავლაა, მაგრამ „ქვეყანა ესე ბოროტსა ზედა სდგას“ და ამიტომ უპირატესი მნიშვნელობა „არსებობისთვის ბრძოლასა“ აქვს.

დიაღ, ჩვენს მდგომარეობაში უპირველეს ყოვლისა, სიფხიზლე და კულტურული, მედგარი კანონიერი ბრძოლაა საჭირო და არა „ნანინას“ სიმღერა, რომელიც თვლემას და ძილს ჰგვრის საზოგადოებასა. სწორედ ასეთი თვლემა და ძილი არ ასცდება ჩვენს ერსაც, უკეთუ ჩვენის უდროოდ მომწიფებულ ლიბერალების გალობას აჰყვება...

ი. ქსნისპირელი.

რიული ერთეული; ამ განსხვავებულ ვითარებისა და მდგომარეობის მიხედვით დაარსებულ იქმნა თანამდებობა ექსარხოსისა. ექსარხოსი ძველს ეკკლესიაში ეწოდებოდა იმ მღვდელ მთავარს, რომელიც განაგებდა ცალკე ეკკლესიას, იმ ცალკე ეკკლესიას, რომელსაც ძველად დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდა...

ექსარხოსებს ეძახდნენ იმ მღვდელ-მთავართაც, რომელნიც განაგებდნენ სახელმწიფოს განაპირა ადგილების ეკკლესიას, პატრიარქისგან თითქმის დამოუკიდებლად...

ბევრი საინტერესო საკითხია განსახილველი საქართველოს საექსარხოსოს ისტორიაში... მათი კეთილ-სინიდისიერი დაბეჯითებული განხილვა, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ იქმნება ჩვენის ერის ცხოვრებისა და არსებობისათვის.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 აგვისტო

პეტერბურგი. 8 აგვისტოს მობრძანდა მთავარი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე რომანოვსკი ჰერცოგი ლიხტენბერგისა.

რეველი. პრინცი ქრისტიანე და პრინცესა ალექსანდრა მობრძანდნენ აქ დილით და, დაათვალიერეს-რა ქალაქი, წაბრძანდნენ პეტერბურგს ნაშუადღევის 2 საათზე.

რიაზანი. სახელმწიფო ცხენის მომშენებელი უწყება 23 აგვისტოს აქ ჰმართავს სასოფლო მეურნეობის ცხენების გამოფენას. საუკეთესო ცხენებისათვის ჯილდო მიესაჯებათ პატრონთ.

პარიჟი. „ფიგარო“ ამტკიცებს, რომ კონგრეგაციის სკოლების გაუქმების გამო, 180,000 ყმაწვილი სასწავლო წლის დაწყებისას უსწავლელი დარჩება, თუ მთავრობა უფრო სამართლიანად არ აასრულებს კანონს კონგრეგაციების შესახებათ.

პარიჟი. ადგილობრივ მკვიდრთ, რომელნიც წინააღუდგნენ სიამის მთავრობას შესამჩნევი სიმარჯვე გამოიჩინეს სიამის ჩრდილოეთად, ბირმის საზღვარზე. 12-ს ივლისს რომ დაეცნენ ოფიცრების სადგურს მუნგპრეში, მოჰკლეს კომისარი, მისი თანაშემწე, ოფიცერი და ამოსწყვიტეს თითქმის სიამის ყველა მდივანი და მათნი ოჯახობანი. პრინც-გრე იძულებულ იქმნა დაეტოვებინა ქალაქი და წასულიყო ნანუს, სიამის მთავრობას შეუძლიან დაიცვას უცხოელთა ცხოვრება და ქონება.

ფილიპოპოლი. კონსტანტინეპოლიდამ მოსულ ცნობით, ილდიზის სასახლის დივიზიის უფროსმა და იმპერატორის ადიუტანტმა მეხმედ-ჩერქესმა გუშინ სადამოთი პსამატიის გარე-უბანში შეიპყრეს ბევრი ოფიცრები.

პეტერბურგი. დღეს, სადამოს 7-ს საათზე, ნოვი პეტერგოფს მობრძანდა საბერძნეთის მეფე გეორგი.

10 აგვისტო

პეტერბურგი. „რუსის ინვალიდში“ გამოქვეყნებულია ზღვათა სამინისტროს გამგებლის ბრძანება, ყოველ ნავ-ხომალდს ეძლეოდეს მასალა, ნაშოვნი და შემზადებული მხოლოდ რუსეთში.

დალუპულის ჯავშნიანის „რუსალკა“ გემისათვის ძეგლის დამდგმელი კომიტეტი მოწადინებულია თავის დროზე დაგზავნოს მოწოდება მომავალ 7 სექტემბერს ძეგლის კურთხევისათვის და ამიტომ სთხოვს „რუსალკასთან“ ერთად რომ დაიღუპნენ იმ მეზღვაურთა ნათესავებს მათი ადრესები წარმოგზავნონ რეველს.

ლონდონი. „ლონდონის გაზეთი“ გვაუწყებს, რომ ვიქტორიის ორდენები ებოძათ: სტაალ დესპანს საკავალერო საპატიო ჯვარი; ეროპკინ პოლკოვნის—საპატიო კომანდირის ჯვარი; დრენიაკინ და კატერინიჩ კაპიტნები დანიშნული არიან მეოთხე და მეხუთე კლასის წევრებად.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅞ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9825 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	180 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი. (30—6.—6)

რუსულ სახლობაში, სადაც იციან ქართული ენა, **ჰსურთ აიყვანონ ქალაქ-გარედ მცხოვრებლების ყმაწვილები** სახლში შესანახად და მოსამზადებლად მისის თვისათვის სასწავლებელში მისაღებად.

ტფილისი, მეექვსე ნაწილი ქალაქისა, ვორონცოვის ქუჩა, ელიაროვის პერეულოკი, ვასილი ტარაევის სახლი, ადელხანოვის ქარხნის ახლო. (2—328—2)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Г-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Духи Бутонъ д'Оръ“.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვების გამო და მკვებავი გატანჯულის ცოდ-შვილის დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევკრიბეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწივნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი: მკურნალი—ვლ. ინაევი; გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ; ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი; მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

გუმმი-პეპსინი

(Gummi- Pepsin)

პროვიზორის ი. ი. კოგოსკისა.

სადეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმლის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს. 5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში. (8—6.—5)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„0	1
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	»
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯულელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა ანა ტფილელი	„	30
დაზარილიტ ტორმესელი, ესპანური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (კორესპონდენცია). 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—16)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძიოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ხნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა ღ დერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

(24—361—16)

საბუხგალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცეხნოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალიოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიონენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მ ს უ რ ვ ე ლ თ ა თ ვ ი ს: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—7)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ. (6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.